

დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება

წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება („ხელშეკრულება“) გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ([[registrar]]) (შემდგომში „რეგისტრატორი“);

(2) ([[registrant]]) (შემდგომში „რეგისტრანტი“).

რეგისტრანტი და რეგისტრატორი ერთობლივად მოხსენებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“. ვინაიდან, რეგისტრატორი უზრუნველყოფს რეგისტრანტებისთვის სარეგისტრაციო მომსახურების განევას; ვინაიდან, რეგისტრანტმა წარუდგინა რეგისტრატორს ელექტრონული სარეგისტრაციო განაცხადი დომენური სახელის დასარეგისტრირებლად, რომელი განაცხადიც აკმაყოფილებს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების პირობებს და რეგისტრანტს სურს მიიღოს სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრატორისგან; ვინაიდან, რეგისტრატორმა დაადასტურა რეგისტრანტის მიერ დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად წარდგენილი განაცხადი და წინამდებარე ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას გაუწიოს სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრანტს;

ვინაიდან, რეგისტრანტი გაეცნო და ეთანხმება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ვინაიდან, მხარეების სურვილია წინამდებარე ხელშეკრულებით დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად განსაზღვრონ რეგისტრატორის მიერ რეგისტრანტისთვის გასწავილი სარეგისტრაციო მომსახურების პირობები.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგ ზე:

## 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში მინიჭებული მნიშვნელობა.

1.2. შემდეგ ტერმინებს, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს კონტექსტი, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1. „ხელშეკრულება“ ნიშნავს წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებას მისი ყველა დანართით;

1.2.2. „რეგისტრაციის საფასური“ აქვს ხელშეკრულების 4.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;

1.2.3. „რეგისტრაციის განახლების საფასური“ აქვს ხელშეკრულების 4.2 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა

1.2.4. „დომენური სახელი“ ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ნიშნავს რეგისტრანტის მიერ ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელს [[domain]].

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 რეგისტრატორი იღებს ვალდებულებას გაუწიოს რეგისტრანტს სარეგისტრაციო მომსახურება მის ელექტრონულ განაცხადში მითითებულ შემდეგ დომენურ სახელთან დაკავშირებით: **[[domain]]** .

2.2 დომენური სახელის რეგისტრაციით რეგისტრანტი იღებს დომენური სახელით სარგებლობის შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლებასიმ ვადითა და პირობებით როგორც ეს მოცემულია ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.

## 3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის რეგისტრანტის მიერ 4.1 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციის საფასურის გადახდის მომენტიდან და მოქმედებს **[[expirationdate]]**-მდე.

3.2. იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე რეგისტრანტი გადაიხდის დომენური სახელის რეგისტრაციის განახლების საფასურს მომდევნო რეგისტრაციის პერიოდისთვის, წინამდებარე ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო რეგისტრაციის პერიოდით, განახლების მომენტისთვის ვებსაიტზე [www.namespace.ge](http://www.namespace.ge) განსაზღვრული დომენის მომსახურების პირობებით. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.

## 4. რეგისტრაციის საფასური და გადახდის პირობები

4.1. ერთი დომენური სახელის რეგისტრაციისთვის და სარეგისტრაციო მომსახურების მიღებისთვის რეგისტრანტი ვალდებულია გადაუხადოს რეგისტრატორს დომენური სახელის ღირებულება ვებსაიტზე [www.namespace.ge](http://www.namespace.ge) განსაზღვრული პირობებების შესაბამისად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (შემდგომში „რეგისტრაციის საფასური“).

4.2. დომენური სახელის შემდგომი რეგისტრაციის პერიოდით რეგისტრაციის განახლების საფასური განსაზღვრულია ვებსაიტზე [www.namespace.ge](http://www.namespace.ge) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (შემდგომში „რეგისტრაციის განახლების საფასური“).

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების სურვილის შემთხვევაში რეგისტრანტი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლში მითითებული რეგისტრაციის განახლების საფასური ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვამდე.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

### 5.1. რეგისტრანტს უფლება აქვს:

(i) მოსთხოვოს რეგისტრატორს წინამდებარე ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

### 5.2. რეგისტრანტი ვალდებულია:

(i) გაეცნოს და შეასრულოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და შესაბამის ინსტრუქციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე [nic.ge](http://nic.ge);

- (ii) დროულად გადაიხადოს დომენური სახელის რეგისტრაციის და რეგისტრაციის განახლების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- (iii) მიაწოდოს რეგისტრატორს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია;
- (iv) რეგისტრატორის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს რეგისტრატორს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია.
- (v) კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებები;
- (vi) გამოიყენოს დომენური სახელი იმგვარად, რომ ასეთმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების, მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი ძალის მქონე აქტის დარღვევა.

### 5.3. ადმინისტრატორი უფლებამოსილია:

- (i) მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარეხე ლშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

### 5.4. რეგისტრატორი ვალდებულია:

- (i) გაუწიოს რეგისტრანტს სარეგისტრაციო მომსახურება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების და ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით;
- (ii) უზრუნველყოს რეგისტრანტის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

## 6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

### 6.1 რეგისტრანტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

- (i) მის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;
- (ii) საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი არის მოქმედი;
- (iii) მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა ადმინისტრაციული საკონტაქტო პირისგან, ტექნიკური საკონტაქტო პირისგან, ბილინგ საკონტაქტო პირისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის და არამხოლოდ, მათი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებასთან და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების მოთხოვნების შესრულებასთან დკავშირებით;
- (iv) რეგისტრანტს აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს დომენური სახელი;
- (v) რეგისტრანტი აკმაყოფილებს დომენური სახელის დასარეგისტრირებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
- (vi) დომენური სახელის რეგისტრაცია და გამოყენება, რამდენადაც ეს რეგისტრანტისთვის ცნობილია, არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე სამართლებრივი ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;

## 6.2 რეგისტრატორის განცხადებები და გარანტიები:

(i) რეგისტრატორს აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

(ii) რეგისტრატორის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და შესრულება ა) არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს რეგისტრატორის მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის რეგისტრატორი; ბ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. რეგისტრანტის მიერ დომენური სახელის არამართლზომიერი გამოყენების, მათ შორის ასეთი გამოყენების შედეგად მესამე პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში რეგისტრანტი ვალდებულია აანაზღაუროს განეული ხარჯი ან/და მიყენებული ზიანი, როგორც ეს გათვალისწინებულია დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში

## 8. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

### 8.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

#### 8.1.1. მხარეთა შეთანხმება;

#### 8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა.

8.1.3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

#### 8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

## 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა

9.1 რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორის ურთიერთობებზე და ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

9.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული დავა მხარეებს შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. დავის ალტერნატიული მოგვარების წესი

10.1 იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირდება დომენური სახელი, რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების ერთიან პოლიტიკაზე (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy “UDRP”), მათ შორის UDRP-ის ნორმებზე და დამატებით წესებზე, რომლებიც წარმოადგენს ამ დომენის რეგულაციის განუყოფელ ნაწილს. UDRP ძალაში მყოფი წესები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: [-]

10.2 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს, რომ UDRP-ის შესაბამისად დავები განიხილოს WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრმა. დავის განხილვის ენა უნდა იყოს ინგლისური.

## 11. პერსონალურმონაცემთა დამუშავება

11.1 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა რეგისტრანტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

11.2 რეგისტრანტი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს ადმინისტრატორს.

## 12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ენოვან ვერსიებს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

12.3. ხელშეკრულების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და მათ გავლენა არ აქვთ ხელშეკრულების პირობების განმარტებაზე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

რეგისტრატორი _____	რეგისტრანტი _____
--------------------	-------------------

## #1 დანართი

### პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები

1. რეგისტრატორი უფლებამოსილია ადმინისტრატორისთვის და ადმინისტრატორის სახელით დაამუშაოს დომენურ სახელებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ მიზნებისთვის და იმ პირობებით, როგორც ეს მოცემულია დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში და რეგისტრატორის ხელშეკრულებაში. წინამდებარე დანართი წარმოადგენს დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. რეგისტრატორი ვალდებულია დაიცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და გამოიყენოს მხოლოდ რეგისტრატორის ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

3. რეგისტრატორი უფლებამოსილია გადასცეს ქვეკონტრაქტორებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილება მხოლოდ ადმინისტრატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

4. რეგისტრატორი ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების შეგროვების და დამუშავების პროცედურის შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და ასახოს ასეთი პროცედურა რეგისტრატორის შიდა რეგულაციებში.

5. რეგისტრატორს უფლება აქვს მოთხოვნისთანავე გადასცეს ადმინისტრატორს მის ხელთ არსებული პერსონალური ინფორმაცია. 6. რეგისტრატორი ვალდებულია გამოიყენოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცულობას. ამ მიზნებისთვის რეგისტრატორი ვალდებულია იღებს, რომ:

6.1 დაავალდებულებს მის მიერ დასაქმებული პერსონალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ არსებული მოთხოვნების და შესაბამისი პროცედურების შესრულებას;

6.2 პერსონალური მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად გამოიყენებს ისეთ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;

6.3 უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების გატარებას პერსონალური ინფორმაციის დაზიანების, მესამე პირებისგან არავტორიზებული წვდომისგან დასაცავად.

7. თანახმად დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებისა ადმინისტრატორი და რეგისტრატორი უფლებამოსილია გაამჟღავნოს რეგისტრანტის პერსონალური ინფორმაცია შემდეგ შემთხვევებში:

7.1 დომენური სახელის შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება;

7.2 მესამე პირისთვის, შესაბამისი იურისდიქციის მქონე უფლებამოსილი ორგანოსთვის, მათ შორის, WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრისთვის, სასამართლოსთვის, ალტერნატიული დავის განმხილველი ორგანოსთვის რეგისტრანტის შესახებ ინფორმაციის გადაცემა.

8. რეგისტრატორი და ადმინისტრატორი უფლებამოსილნი არიან დაამუშაონ და შეინახონ რეგისტრანტის პერსონალური მონაცემები რეგისტრანტსა რეგისტრატორს შორის სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის და ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

9. რეგისტრანტს, ადმინისტრაციულ საკონტაქტო პირს და ტექნიკურ საკონტაქტო პირს უფლება აქვთ ადმინისტრატორისგან და რეგისტრატორისგან, რომლის მეშვეობითაც რეგისტრანტმა გააკეთა სარეგისტრაციო განაცხადი დომენური სახელის დასარეგისტრირებლად ან რეგისტრატორის შესაცვლელად, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ადმინისტრატორის და რეგისტრატორის მიერ დამუშავებული მისი პერსონალურ მონაცემების შესახებ.

10. რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია შეწყვიტოს პერსონალური მონაცემების დამუშავება, სრულად გადასცეს ადმინისტრატორს მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები და წაშალოს ასეთი მონაცემები საკუთარი სისტემიდან და მონაცემთა ბაზიდან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

რეგისტრატორი \_\_\_\_\_

რეგისტრანტი \_\_\_\_\_